საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

ადმინისტრაციული მიწერილობა
№ 004305

„ 14 " ივლისი 2026 წ.

ქ. თბილისი
(შედგენის ადგილი)

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევების აღმოსაფხვრელი ღონისძიებების გატარების ან რაიმე ქმედებებისაგან თავის შეკავების შესახებ

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი
(ადმინისტრაციული მიწერილობის გამცემი ორგანოს დასახელება, იურიდიული მისამართი)

ქ. თბილისი, ვ. ნიკოლაძის I შეს. N1

ადმინისტრაციული მიწერილობის ობიექტი: შპს „სანერგე" (ს/კ 204927240)
(ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი, გვარი,

იურ. მის: [redacted] დიღომი [redacted]
პირადობის მოწმობის ნომერი, საცხოვრებელი ადგილი; იურიდიული პირის შემთხვევაში – იურიდიული პირის სახელწოდება, იურიდიული მისამართი)

მინისტრის 2020 წლის 20 თებერვლის N2-153 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი

გადაწყვეტილება (დასკვნა N71; 06.10.2017)

დარღვევები, რომლებზეც გაიცემა ადმინისტრაციული მიწერილობა: ოქმი N004305

ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი N1
(დარღვევების ჩამონათვალი, რომლებზეც გაიცემა მიწერილობა)

გასატარებელი ღონისძიებები: ბილეთი №004305 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №2

(დავალების არსი, საჭიროების შემთხვევაში, შესრულების ვადები)

თან ერთვის დანართი: 10 ფურცელი

(დანართის №, გვერდების რ-ბა, დანართების არარსებობის შემთხვევაში დაისმევა z)

პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული მიწერილობის შეუსრულებლობის შემთხვევაში:

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^8 მუხლის მეორე პირველი ნაწილის

(კანონის მუხლ(ებ)ი, შესაბამისი პუნქტი ან ნაწილი, ქვეპუნქტი)

79^9 მუხლის, საქართველოს საჰაერო კოდექსის მე-40 მუხლის პირველი ნაწილის, 43-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 46-ე მუხლის პირველი ნაწილის და 47-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად

მიწერილობის გამცემი თანამდებობის პირი: გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის

(თანამდებობა, სახელი, გვარი)

აჭარის მთავარი - მთავარი სახელმწიფო ინსპექტორი ნინო კოხრეიძე

თანამდებობის პირის ხელმოწერა: ნ. კოხრეიძე

ადმინისტრაციული მიწერილობის მიმღები (ივსება პირდაპირი ჩაბარების შემთხვევაში):

ივანიშვილი გიორგი

(რეგულირების ობიექტის წარმომადგენელი პირი, მისი ხელმოწერა და თარიღი)

2026 წლის 14 ივლისის №004305 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2025 წლის 16 ოქტომბრის № DES 7 25 00000488 და 2025 წლის 21 ოქტომბრის №°DES32500000501 ბრძანებების საფუძველზე, დეპარტამენტის უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ, განხორციელდა გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. ახალი სამგორის მიმდებარე ტერიტორიაზე, შპს „სანიტარი"-ს (ს/კ 204927240), ნარჩენების აღდგენის, ნარჩენების განთავსების (ინსინერაცია) და 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის საწარმოს ექსპლუატაციაზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 20 თებერვლის №2-153 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №71; 06.10.2017წ.) გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის **გეგმიური შემოწმება.**

შემოწმების შედეგად გამოვლინდა შემდეგი დარღვევები:

1. 2017 წლის 6 ოქტომბრის №71 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის **პირველი პირობის** შესაბამისად, კომპანია საქმიანობას არ ახორციელებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, მონიტორინგის გეგმის და შემარბილებელი ღონისძიებების შესაბამისად. კერძოდ:

1.1. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმის და კანონმდებლობის შესაბამისად, არ აწარმოებს „წყლის გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვის ფორმას", "მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების სახელმწიფო აღრიცხვის ფორმას" და გარემოსდაცვით მონიტორინგს. ინსპექტირებით დადგინდა შემდეგი:

1.1.1. გარემოსდაცვითი მართვის სისტემაში (https://emoe.gov.ge) კომპანიის მიერ წარმოდგენილ „წყლის გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვის ფორმა"-ში ჩამდინარე წყლის მიმღებად მითითებულია **უსახელო ტბორი,** თუმცა, ინსპექტირებით დადგინდა, რომ ჩამიდნარე წყლების ჩაშვება ხდება სამელიორაციო არხში/კოლექტორში შპს "საქართველოს მელიორაციას" 2017 წლის 1 სექტემბრის №2-2393 წერილით გაცემული თანხმობის საფუძველზე;

1.1.2. „წყლის გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვის ფორმა"-ში გამოყენებული წყლის რაოდენობად მითითებულია ჯამში **0.008 მ³**/წელიწადში, თუმცა, გზშ ანგარიშით და გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმის შესაბამისად, წლის განმავლობაში სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებული წყლის რაოდენობაა **81 მ³**/წელ. წყალი ასევე გამოიყენება ინსინერატორის ბრუნვით გაციების სისტემაში. ამასთან, დადგინდა, რომ სისტემას დღეში (16 სთ) დამატებით ესაჭიროება 400 ლიტრი წყალი (აორთქლებული წყლის შესავსებად). შესაბამისად, წყლის რაოდენობა შეადგენს 0.4x300=120მ³ წყალი/წელიწადში.

ასევე, კომპანიის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, 25.02.2025-26.03.2025 პერიოდზე, კომპანიის მიერ შპს "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"-დან შეძენილი იქნა 64მ³ წყალი (ქვითრის №5656715980). შესაბამისად, წყლის მნიშვნელობები განსახვავებულია;

1.1.3. ჩამდინარე წყლის ჩაშვების ფაქტობრივი კოორდინატი (GPS: X-504329, Y-4604716) არ შეესაბამება გზშ ანგარიშში მოცემულ (GPS: X-504205, Y-4604733) კოორდინატს და ასევე სახელმწიფო აღრიცხვის ფორმაში მოცემულ (41.589075196, 45.017319478; გადაყვანილი UTM WGS 1984 სისტემაში - X-501443, Y-4604153)) ჩაშვების კოორდინატს;

1.1.4. გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმის შესაბამისად, კომპანია არ აწარმოებს ჩამდინარე წყლების ხარისხის მონიტორინგს. ინსპექტირებისას ვერ იქნა წარმოდგენილი ჩანდინარე წყლების ხარისხის მონიტორინგის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

1.1.5. კომპანიის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია 2024 წელს ინსინერატორის ნამუშევარი საათების **(1200 სთ)** და მასში განადგურებული ნარჩენების **(360 ტ)** რაოდენობის შესახებ არ შეესაბამება 2024 წლის მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის სახელმწიფო აღრიცხვის ფორმაში (https://emoe.gov.ge) წარმოდგენილ ნამუშევარი საათებისა და განადგურებული ნარჩენების შესახებ ინფორმაციას. სახელმწიფო აღრიცხვის ფორმის მიხედვით, კომპანიამ 2024 წელს მიიღო და გაანადგურა 95 ტონა ნარჩენი, რომლის განდგურებასაც დაჭირდებოდა 316 სთ.;

1.1.6. მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის სახელმწიფო აღრიცხვის ფორმაში წარმოდგენილი ინფორმაციით, კომპანიამ 2024 წელს მიიღო და გაანადგურა 95 ტონა ნარჩენი, რისთვისაც მოიხმარა 10 ტ. დიზელის საწვავი. წარმოდგენილი ინფორმაციის დამუშავებით და ინსინერატორის წარმადობის გათვალისწინებით დადგინდა, რომ 95 ტ ნარჩენის განადგურებას ესაჭიროება 7.6 ტონა დიზელის საწვავი, ნაცვლად 10 ტონა დიზელის საწვავისა;

1.1.7. დადგინდა შეუსაბამობა ნარჩენების მართვის ელექტრონულ სისტემაში (wms.mepa.gov.ge) 2024 წლის აღრიცხვა-ანგარიშგების დანართი №2-ით წარმოდგენილ ინფორმაციასა და სახელმწიფო აღრიცხვის ფორმაში მოცემულ ინფორმაციას შორის. კერძოდ, დანართი №2-ის შესაბამისად, კომპანიამ 2024 წელს განახორციელა **191.1 ტონა** ნარჩენების ინსინერაცია (D1 - მიწაზე ინსინერაცია) და გაანადგურა შემდეგი კოდით განსაზღვრული ნარჩენები:

- 08 01 13* - 35.7 ტ.,
- 16 01 07* - 40.5 ტ.,
- 16 07 08* - 77.5 ტ.,
- 15 02 02* - 37.4 ტ.

ამასთან, სახელმწიფო აღრიცხვის ფორმაში მოცემული ინფორმაციით, კომპანიამ გაანადგურა 95 ტონა ნარჩენი. შესაბამისად დადგინდა, რომ ნარჩენების აღრიცხვა-ანგარიშგებით (wms.mepa.gov.ge) წარმოდგენილი ინფორმაცია არ შეესაბამება კომპანიის მიერ სახელმწიფო აღრიცხვის ფორმაში (https://emoe.gov.ge) მოცემულ ინფორმაციას და **ნაცვლად 191.1 ტონისა, მითითებულია 95 ტონა ნარჩენი;**

1.1.8. გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმის შესაბამისად, ატმოსფერულ ჰაერში დარიშხანის შემცველობის დადგენის მიზნით, არ არის ჩატარებული საანგარიშო ან/და ინსტრუმენტული მეთოდით შესაბამისი გაზომვები/გამოთვლები;

1.2. ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ ელექტრომოწყობილობების სასაწყობო ზონაში (№2), კომპანია ახორციელებს ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული კასრების დაპრესვას და არ ახდენს მის რეცხვას გზშ ანგარიშის შესაბამისად;

1.3. კომპანიამ, 2025 წელს განახორციელა **16 01 14* კოდით** (ანტიფრიზის სითხეები, რომლებიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებებს) და **08 01 13* კოდით** (ნალექი საღებავის ან ლაქის, რომელიც შეიცავს ორგანულ გამხსნელებს ან სხვა სახიფათო ნივთიერებებს) განსაზღვრული **1780 კგ. და 35.7 ტონა** ნარჩენის მიღება და ინსინერაცია, **რომლის მიღების და ინსინერაციის უფლება არ არის განსაზღვრული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშით და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით.** აღნიშნული კოდები ასევე არ არის განხილული სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2025 წლის 31 მარტის №162/ს ბრძანებით, გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. ახალ სამგორში შპს „სანიტარის“ ნარჩენების აღდგენის, ნარჩენების ინსინერაციის და 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე გაცემულ სკრინინგის გადაწყვეტილებაში;

1.4. ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ ინსინერატორის შენობის გარეთ განთავსებულია **დიზელის 4 ტონიანი ავზი**, რომელსაც გააჩნია სასუნთქი სარქველი და საწვავის მიწოდება ხდება სპეციალური ტუმბოს მეშვეობით. დიზელის რეზერვუარი განთავსებულია ბეტონის საფარზე, თუმცა დაღვრის საწინააღმდეგო შემოზღუდვა არ დაფიქსირდა. სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან, 2023 წლის 24 აპრილს შეთანხმებული ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის შესაბამისად, „გ-2“ წყაროს წარმოადგენს 3მ^3 მოცულობის დიზელის რეზერვუარი. **შესაბამისად დადგინდა, რომ ზდგ ნორმების პროექტში მოცემული დიზელის რეზერვუარის მოცულობა არ შეესაბამება ადგილზე განთავსებულ რეზერვუარის ფაქტობრივ მოცულობას;**

1.5. ინსპექტირებისას დადგინდა, რომ რადიაციული ნარჩენების კონტეინერების ფაქტობრივი რაოდენობა არ შეესაბამება გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში მოცემულ რაოდენობას. კერძოდ, დადგინდა, რომ რადიაციული ნარჩენებისათვის **განკუთვნილია 6 კონტეინერი,** ნაცვლად გზშ ანგარიშით განსაზღვრული 4 ერთეულისა;

1.6. საწარმოს კონტეინერების ზონაში კონტეინერებში ნარჩენები არ არის განთავსებული გზშ ანგარიშის შესაბამისად. კერძოდ, გზშ ანგარიშის შესაბამისად, აღნიშნულ კონტეინერებში **არ უნდა იყოს განთავსებული მილსადენის საწმენდი „ღორი"-ს რეზინის ნარჩენები, ნარჩენი ზეთი და საწვავი, ჯართი და აკუმულატორები;**

1.7. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში მოცემულია კონტეინერების რაოდენობა (13 სასაწყობე კონტეინერი), ამასთან, გზშ ანგარიშის გენ-გეგმაზე მოცემული კონტეინერების რაოდენობაა 12 ცალი (ექსპლიკაცია -16) და 3 ცალი (ექსპლიკაცია - 19), თუმცა ინსპექტირებით დადგინდა, რომ ადგილზე განთავსებულია **18 კონტეინერი,** აქედან 12 სასაწყობე და 6 რადიაციული ნარჩენების კონტეინერი;

2. 2017 წლის 6 ოქტომბრის №71 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის **მე-4 პირობის შესაბამისად, კომპანიამ არ უზრუნველყო** ექსპლუატაციის ეტაპზე საწარმოში წარმოქმნილი ნაცრის მართვა კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. კერძოდ, სამინისტროსთან 2025 წლის 4 ივნისის №4039/01 წერილით შეთანხმებული, 2025-2027 წლების კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად, 2025 წელს კომპანიის საქმიანობის შედეგად წარმოიქმნება **1000 კგ. მძიმე** ნაცარი და წიდა, რომელიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებებს (19 01 11*). გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად, ინსინერაციის შედეგად წლის განმავლობაში წარმოიქმნება **72 ტონა** ნაცარი.

ამასთან, შპს "სანიტარი"-ს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, 19 01 11* კოდით კლასიფიცირებული მძიმე ნაცარი და წიდა, რომელიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებებს წარმოიქმნა:

- 2024 წელს - 10 600 კგ,
- 2025 წელს - 8800 კგ.

ხოლო ინსპექტირების პროცესში კომპანიის განმარტებით, ტერიტორიაზე 2017 წლიდან დღემდე განთავსებულია **28 ტონა ნაცარი.**

შესაბამისად, დადგინდა, რომ **გზშ ანგარიშში და კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმაში წლის განმავლობაში წარმოქმნილი ნაცრის რაოდენობა, ასევე კომპანიის მიერ მოწოდებული ინფორმაცია განსხვავებულია** და დადგინდა, რომ კომპანიის ნარჩენების მართვის **გეგმაში მოცემული** ნაცრის რაოდენობა **(1000 კგ) არ შეესაბამება ინსპექტირებით დადგენილ ფაქტობრივ მდგომარეობას (2025 წელი - 8800 კგ).**

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი ზემოთაღნიშნული პირობების შეუსრულებლობა წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79[8] მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ დარღვევას.

3. ინსპექტირების შედეგად ასევე გამოვლინდა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული ექსპლუატაციის პირობის ცვლილება, ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გადაწყვეტილების გარეშე (**იხ. პირველი პუნქტის 1.1.3; 1.3; 1.4, 1.5, 1.7 ქვეპუნქტები),** რაც წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის **79[9] მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას**.

4. ინსპექტირებით გამოვლინდა, ნარჩენების მართვის კოდექსის, მისგან გამომდინარე ნორმატიული აქტების და კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის ფაქტი. კერძოდ:

4.1. შპს „სანიტარი" ნარჩენების ტრანსპორტირებას არ ახორციელებს **„ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირების, წინასწარი დამუშავებისა და დროებითი შენახვის წესისა და პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის №144 დადგენილებისა და კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად.** კერძოდ:

4.1.1. შპს „სანიტარი" სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირებას ახორციელებს იმ სატრანსპორტო საშუალებებით, რომლებიც არ არის რეგისტრირებული ნარჩენების მართვის ელექტრონულ სისტემაში (wms.mepa.gov.ge):

- თვითმცლელი ნახევარმისაბმელი YILDIZLAR სახ. ნომერი: VV 990W;
- თვითმცლელი ნახევარ მისაბმელი YARI ROMORK სახ. ნომერი: HH 403 T;
- სპეციალიზირებული MERCEDES-BENZ სახ. ნომერი: IG 415 GI; სახ. ნომრით - FI095IF.

4.1.2. სატრანსპორტო საშუალებებზე, რომლებიც რეგისტრირებულია **ნარჩენების მართვის ელექტრონულ სისტემაში არ ფიქსირდება** განახლებული სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირებისათვის სატრანსპორტო საშუალების დაშვების მოწმობები (ვადაგასულია);

აღნიშნული მოთხოვნების შეუსრულებლობა წარმოადგენს ნარჩენების მართვის კოდექსის მე-40-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ დარღვევას;

4.2. სამინისტროს 2025 წლის 4 ივნისის №4039/01 წერილით შეთანხმებული, 2025-2027 წლების კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად, 2025 წელს კომპანიის საქმიანობის შედეგად წარმოიქმნება **1000 კგ. მძიმე** ნაცარი და წიდა, რომელიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებებს (19 01 11*). შპს "სანიტარი"-ს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად,

19 01 11* კოდით კლასიფიცირებული მძიმე ნაცარი და წიდა, რომელიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებებს წარმოიქმნა:

- 2024 წელს - 10 600 კგ,
- 2025 წელს - 8800 კგ.

ამასთან, ინსპექტირების პროცესში კომპანიის განმარტებით, ტერიტორიაზე 2017 წლიდან დღემდე განთავსებულია **28 ტონა ნაცარი.**

შესაბამისად, დადგინდა, რომ გზშ ანგარიშში და კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმაში წლის განმავლობაში წარმოქმნილი ნაცრის რაოდენობა, ასევე კომპანიის მიერ მოწოდებული ინფორმაცია განსხვავებულია და **დადგინდა, რომ კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმაში მოცემული ნაცრის რაოდენობა (1000 კგ) არ შეესაბამება ინსპექტირების შედეგად დადგენილ ფაქტობრივ მდგომარეობას (2025 წელი - 8800 კგ).**

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს №211 ბრძანებით დამტკიცებული „კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესის" შესაბამისად, წარმოქმნილი ნარჩენების სახეობის, **რაოდენობის** და დამუშავების პროცესში არსებითი ცვლილებების შეტანის შემთხვევაში უნდა განახლდეს გეგმა და განხილვისა და შეთანხმების მიზნით წარედგინოს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს. **ამასთან, ინსპექტირებით დადგინდა, რომ შპს „სანიტარს" განახლებული გეგმა სააგენტოში შესათანხმებლად არ წარუდგენია;**

4.3. სამინისტროსთან შეთანხმებული კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად, წარმოქმნილი ნარჩენების აღრიცხვა/რეგისტრაცია, დასაწყობების და შემდგომი მართვის პროცესების აღწერა მოხდება ჟურნალში, რომელიც იქნება აკინძული და დანომრილი. ჩანაწერები უნდა იყოს მკაფიო და მოიცავდეს საკმარის ინფორმაციას. კერძოდ, ნარჩენის კოდს, დასახელებას, სახიფათოობას (დიახ/არა) და სახიფათოობის მახასიათებელს, რაოდენობას, ზომის ერთეულს და სხვა. კომპანიის მიერ ინსპექტირებისას ვერ იქნა წარმოდგენილი ზემოაღნიშნული ჟურნალი. ასევე, დადგინდა, რომ ნარჩენების მართვის ელექტრონულ სისტემაში კომპანია არ წარადგენს ინსინერატორის ექსპლუატაციის შედეგად წარმოქმნილი ნაცრისა და ნატრიუმის ბიკარბონატის ნარჩენების რაოდენობას.

კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების განუხორციელებლობა წარმოადგენს ნარჩენების მართვის კოდექსის 43-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ დარღვევას.

შემოწმების შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე, 2026 წლის 28 იანვარს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^8 მუხლის პირველი ნაწილის, 79^9 მუხლის პირველი ნაწილის, ნარჩენების მართვის კოდექსის მე-40 მუხლის პირველი ნაწილის

და 43-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, შპს „სანიტარი“-ს მიმართ, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №095555 ოქმი, რომელიც განსახილველად გადაეგზავნა გარდაბნის მაგისტრატ სასამართლოს.

სასამართლომ, 2026 წლის 12 მარტის №4-68-26 დადგენილებით, კომპანია სცნო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^8 მუხლის პირველი ნაწილით, 79^9 მუხლის პირველი ნაწილით, ასევე წარჩენების მართვის კოდექსის მე-40 მუხლის პირველი ნაწილით და 43-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში და სახდელის სახით შეუფარდა ჯარიმა - 7 000 ლარის ოდენობით. დღეს არსებული მდგომარეობით, დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 46-ე მუხლისა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ადგენს გონივრულ ვადას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულებისა და ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „სანიტარი“-ს მიმართ, შემუშავდა დეპარტამენტის 2026 წლის 14 ივლისის № 004305 ადმინისტრაციული მიწერილობა.

2026 წლის 14 ივლისის №004305 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №2

შპს „სანიტარი“-ს (ს/კ 204927240), ნარჩენების აღდგენის, ნარჩენების განთავსების (ინსინერაცია) და 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის საწარმოს ექსპლუატაციაზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 20 თებერვლის №2-153 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №71; 06.10.2017წ.) გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმებისას გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად, **შპს „სანიტარი“ ვალდებულია:**

1. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან საქმიანობა განახორციელოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, მონიტორინგის გეგმის, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმის და შემარბილებელი ღონისძიებების შესაბამისად (2017 წლის 6 ოქტომბერს გაცემული №71 ეკოლოგიური ექსპერტიზის **დასკვნის პირველი პირობა)**, მათ შორის:

1.1. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **კანონმდებლობით დადგენილი ვადაში და პერიოდულობით** უზრუნველყოს მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების სახელმწიფო აღრიცხვის ფორმის (https://emoe.gov.ge) და ნარჩენების მართვის ელექტრონულ სისტემაში (wms.mepa.gov.ge) აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოება, ფაქტობრივ მდგომარეობასთან შესაბამისი მონაცემების მითითებით;

1.2. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არ განახორციელოს ჩამიდნარე წყლების ჩაშვება სამელიორაციო არხში/კოლექტორში, შპს "საქართველოს მელიორაცია"-სთან შეთანხმების (სათანადო ნებართვის) გარეშე;

1.3. შპს "საქართველოს მელიორაცია"-სთან შეთანხმებიდან (სათანადო ნებართვის აღებიდან) **არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში** ჩაატაროს, ხოლო შემდგომ მონიტორინგის გეგმაში მოცემული პერიოდულობით განახორციელოს, ჩამდინარე წყლების ხარისხის მონიტორინგი;

1.4. შპს "საქართველოს მელიორაცია"-სთან შეთანხმების (სათანადო ნებართვის) შემდგომ, უზრუნველყოს „წყლის გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვის ფორმის“ წარმოება მოქმედი კანონმდებლობის და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად, ფაქტობრივ მდგომარეობასთან შესაბამისი მონაცემების მითითებით;

1.5. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში**, ხოლო **შემდგომ მონიტორინგის გეგმაში მოცემული პერიოდულობით** განახორციელოს, ატმოსფერულ ჰაერში დარიშხანის შემცველობის დადგენის მიზნით, საანგარიშო ან/და ინსტრუმენტული მეთოდით შესაბამისი გაზომვები/გამოთვლები;

1.6. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **დაუყოვნებლივ დაიწყოს** და შემდგომ **მუდმივად** უზრუნველყოს ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული კასრების რეცხვა გზშ ანგარიშის შესაბამისად;

1.7. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში** უზრუნველყოს საწარმოს კონტეინერების ზონაში, ნარჩენების კონტეინერების განთავსება გზშ ანგარიშის შესაბამისად;

2. ექსპლუატაციის ეტაპზე საწარმოში წარმოქმნილი ნაცრის მართვა **მუდმივად უზრუნველყოს** კანონმდებლობით დადგენილი გარემოსდაცვითი მოთხოვნების შესაბამისად, (2017 წლის 6 ოქტომბრის №71 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის **მე-4 პირობა)**;

3. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **დაუყოვნებლივ დაიწყოს** და შემდგომ **მუდმივად** უზრუნველყოს ნარჩენების მართვა, შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმის, საქართველოს კანონის - ნარჩენების მართვის კოდექსით და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრული ვალდებულებებისა და მოთხოვნების შესაბამისად. მათ შორის:

3.1. ნარჩენების (სახიფათო, არასახიფათო) ტრანსპორტირება განახორციელოს, მხოლოდ ნარჩენების მართვის ელექტრონულ სისტემაში (wms.mepa.gov.ge) რეგისტრირებული სატრანსპორტო საშუალებებით;

3.2. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **დაუყოვნებლივ დაიწყოს** და შემდგომ **მუდმივად** უზრუნველყოს, საწარმოს საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების სეპარირებული შეგროვება;

3.3. ნარჩენების მართვის ელექტრონულ სისტემაში (wms.mepa.gov.ge), აღრიცხვა-ანგარიშგების მოდულში ასახოს/წარადგინოს ინსინერატორის ექსპლუატაციის შედეგად წარმოქმნილი ნაცრისა და ნატრიუმის ბიკარბონატის ნარჩენების რაოდენობა;

4. ვინაიდან, დადგინდა, რომ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებულ კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმაში წლის განმავლობაში წარმოქმნილი ნაცრის რაოდენობა, ასევე კომპანიის მიერ მოწოდებული ინფორმაცია განსხვავებულია, ასევე ინსპექტირებით დადგინდა, რომ კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმაში მოცემული ნაცრის რაოდენობა (1000 კგ) არ შეესაბამება ფაქტობრივ მდგომარეობას (2025 წელი - 8800 კგ), **შპს „სანიტარი" ვალდებულია,** ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს, ნარჩენების მართვის გეგმის ხელახლა შემუშავება და სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში შესათანხმებლად

წარდგენა, ხოლო შეთანხმების შემდგომ, ნარჩენების მართვა განახორციელოს შეთანხმებული კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად.

ამასთან, განახლებული გეგმის შეთანხმებამდე, სპეციალურ ჟურნალში (აკინძული და დანომრილი) უზრუნველყოს წარმოქმნილი ნარჩენების აღრიცხვა/რეგისტრაცია, დასაწყობების და შემდგომი მართვის პროცესების აღწერა, ხოლო ჩანაწერები უნდა იყოს მკაფიო და მოიცავდეს საკმარის ინფორმაციას, კერძოდ: ნარჩენის კოდს, დასახელებას, სახიფათოობას (დიახ/არა) და სახიფათოობის მახასიათებელს, რაოდენობას, ზომის ერთეულს და სხვა.);

5. ვინაიდან ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული ექსპლუატაციის პირობის ცვლილება, ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ შესაბამისი გადაწყვეტილების გარეშე **(იხ. ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1-ის პირველი პუნქტის 1.1.3; 1.3; 1.4, 1.5, 1.7 ქვეპუნქტები), შპს „სანიტარი“ ვალდებულია,** ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში** მიმართოს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით დადგენილი შესაბამისი პროცედურების გავლის მიზნით.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

ადმინისტრაციული მიწერილობა
№ 004306

„15" ივლისი 2026 წ. ქ. თბილისი
(შედგენის ადგილი)

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევების აღმოსაფხვრელი ღონისძიებების გატარების ან რაიმე ქმედებებისაგან თავის შეკავების შესახებ

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი
(ადმინისტრაციული მიწერილობის გამცემი ორგანოს დასახელება, იურიდიული მისამართი)
ქ. თბილისი, გ. ნიჟარაძის I შეს. №1

ადმინისტრაციული მიწერილობის ობიექტი: შპს „სანიტარი" (ს/ს 204927240)
(ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი, გვარი,
იურ. მის.: [redacted] დირექტორი [redacted]
პირადობის მოწმობის ნომერი, საცხოვრებელი ადგილი, იურიდიული პირის შემთხვევაში – იურიდიული პირის სახელწ[redacted]
[redacted] მინისტრის 2020 წლის 20 თებერვლის №2-152 ბრძანებით გაცემული
გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (დანართი №92; 02.10.2009)

დარღვევები, რომლებზეც გაიცემა ადმინისტრაციული მიწერილობა: იხილეთ №004306
ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1
(დარღვევების ჩამონათვალი, რომლებზეც გაიცემა მიწერილობა)

გასატარებელი ღონისძიებები: იხილეთ №004306 აღმინისტრაციული მიწერილობის დანართი №2

(დავალების არსი, საჭიროების შემთხვევაში, შესრულების ვადები)

თან ერთვის დანართი: 1 ფურცელი

(დანართის №, გვერდების რ-ბა, დანართების არარსებობის შემთხვევაში დაისმევა z)

პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული მიწერილობის შეუსრულებლობის შემთხვევაში:

აღმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79[8] მუხლის ჭინიშნის პირველი ნაწილის, 79[9] მუხლის პირველი ნაწილის, ნარჩენების მართვის კოდექსის 31-ე მუხლის მე-8 და მე-9 ნაწილის, 46-ე მუხლის პირველი ნაწილის და 47-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად.

(კანონის მუხლ(ებ)ი, შესაბამისი პუნქტი ან ნაწილი, ქვეპუნქტი)

მიწერილობის გამცემი თანამდებობის პირი: გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის

(თანამდებობა, სახელი, გვარი)

ყვარლის მოადგილე-მთავარი სახელმწიფო ინსპექტორი ნელი კოსტავა

თანამდებობის პირის ხელმოწერა: ნ. კოსტავა

ადმინისტრაციული მიწერილობის მიმღები (ივსება პირდაპირი ჩაბარების შემთხვევაში):

იგზავნება ელფოსტით

(რეგულირების ობიექტის წარმომადგენელი პირი, მისი ხელმოწერა და თარიღი)

2026 წლის 15 ივლისის №004306 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2025 წლის 16 ოქტომბრის № DES725 00000489 და 2025 წლის 21 ოქტომბრის №°DES32500000500 ბრძანებების საფუძველზე, დეპარტამენტის უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ, განხორციელდა ქ. რუსთავში, გამარჯვების გზატკეცილ №4-ში განთავსებული, შპს "სანიტარი"-ს (ს/კ 204927240) კუთვნილ, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამუშავების (სეგრეგაცია, მასერაცია, კომპოსტირება, ბრიკეტირება) საწარმოზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 20 თებერვლის №2-152 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (2009 წლის 2 ოქტომბრის №92 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა) გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის **გეგმიური შემოწმება.**

შემოწმების შედეგად გამოვლინდა შემდეგი დარღვევები:

შპს "სანიტარი" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 20 თებერვლის №2-152 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **მე-2 პუნქტის შესაბამისად,** არ ახორციელებს საქმიანობას 2009 წლის 2 ოქტომბრის №92 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით დადგენილი პირობების დაცვით. კერძოდ:

1. 2009 წლის 2 ოქტომბრის №92 ეკოლოგიური ექსპერტიზის **მე-2 პირობის** შესაბამისად, საქმიანობა არ ხორციელდება გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად:

1.1. ინსპექტირებით დადგინდა, რომ შპს "სანიტარი" შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმის შესაბამისად, არ ახორციელებს საყოფაცხოვრებო ნარჩენების დამუშავების უბნებიდან წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების ყოველკვარტალურ ინსტრუმენტულ მონიტორინგს შემდეგ კომპონენტებზე: შეწონილი ნაწილაკები, ჟბმ, ჟქმ, საერთო აზოტი, ამონიუმის აზოტი, საერთო ფოსფორი, სულფიდები გადათვლილი გოგირდის იონზე, ნავთობპროდუქტები, ცხიმები და ზეთები, ზედაპირულად აქტიური ნივთიერებები, ფენოლები, ციანიდები, დარიშხანი, კადმიუმი, სპილენძი, ქრომი, ტყვია, ვერცხლისწყალი, ნიკელი თუთია. აღნიშნული ვალდებულების შესრულება არ დასტურდება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მასალებით;

1.2. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად, კომპანიას სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში არ აქვს წარდგენილი გარემოსდაცვითი მონიტორინგის ანგარიში (გზშ ანგარიში, მე-11 თავი, გვ. 76);

1.3. ინსპექტირებით დადგინდა, რომ საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამამუშავებელი (სეგრეგაცია, ბრიკეტირება) **უბანი მოწყობილია** შპს „სანიტარი"-ს საკუთრებაში არსებულ **არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 81.13.01.353),** ნაცვლად გზშ ანგარიშით განსაზღვრული ტერიტორიისა. **გზშ ანგარიშით განსაზღვრულ, საყოფაცხოვრებო ნარჩენების განთავსების ტერიტორიაზე, ამჟამად არ არის განთავსებული არანაირი ობიექტი და ტერიტორია წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას. შესაბამისად,** გამოვლინდა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული ექსპლუატაციის პირობის ცვლილება ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გადაწყვეტილების გარეშე.

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების შეუსრულებლობა და გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული ექსპლუატაციის პირობის ცვლილება ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გადაწყვეტილების გარეშე, წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის **79^8 მუხლის პირველი და 79^9 მუხლის პირველი ნაწილით** გათვალისწინებულ სამართალდარღვევას.

2. ინსპექტირებით გამოვლინდა ნარჩენების მართვის კოდექსით დადგენილი ვალდებულებების შეუსრულებლობის ფაქტი. კერძოდ:

ინსპექტირებით დადგინდა, რომ GPS კოორდინატებით: X-501468 Y-4604086, X-501468 Y-4604078 განსაზღვრული ტერიტორია, რომელიც წარმოადგენს დაურეგისტრირებელ სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ნაკვეთს, **დანაგვიანებულია 1m^3 მეტი მოცულობის, ხის პადონებისა და გამოყენებული პოლიპროპილენის ტომრების ნარჩენებით. შესაბამისად, გამოვლინდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ტერიტორიის ნარჩენებით დაბინძურების ფაქტი, რაც წარმოადგენს ნარჩენების მართვის კოდექსის 31-ე მუხლის მე-8 და მე-9 ნაწილით გათვალისწინებულ დარღვევას.**

ინსპექტირების შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე, 2026 წლის 28 იანვარს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^8 მუხლის პირველი ნაწილის, 79^9 მუხლის პირველი ნაწილის და ნარჩენების მართვის კოდექსის 31-ე მუხლის მე-8 და მე-9 ნაწილის შესაბამისად, შპს „სანიტარი"-ს მიმართ, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №095554 ოქმი, რომელიც განსახილველად გადაეგზავნა რუსთავის საქალაქო სასამართლოს.

სასამართლომ, 2026 წლის 9 მარტის №4-57-26 დადგენილებით, კომპანია სცნო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^8 მუხლის პირველი ნაწილით, 79^9 მუხლის პირველი ნაწილით, ასევე ნარჩენების მართვის კოდექსის 31-ე მუხლის მე-8 და მე-9 ნაწილით

გათვალისწინებულ ქმედებაში და სახდელის სახით შეუფარდა ჯარიმა - 7 000 ლარის ოდენობით. დღეს არსებული მდგომარეობით, დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 46-ე მუხლისა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ადგენს გონივრულ ვადას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულებისა და ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „სანიტარი“-ს მიმართ, შემუშავდა დეპარტამენტის 2026 წლის 15 ივლისის № 004306 ადმინისტრაციული მიწერილობა.

2026 წლის 15 ივლისის №004306 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №2

შპს "სანიტარი"-ს (ს/კ 204927240) კუთვნილი, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამუშავების (სეგრეგაცია, მასერაცია, კომპოსტირება, ბრიკეტირება) საწარმოზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 20 თებერვლის №2-152 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (2009 წლის 2 ოქტომბრის №92 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა) გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმებისას გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად, **შპს „სანიტარი“ ვალდებულია:**

1. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის** ვადაში უზრუნველყოს, ინსპექტირებისას გამოვლენილი, 1m^3 მეტი მოცულობის, ხის პადონებისა და გამოყენებული პოლიპროპილენის ტომრების ნარჩენებით დანაგვიანებული, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ნაკვეთის (GPS კოორდინატები: X-501468 Y-4604086, X-501468 Y-4604078) დასუფთავება, ხოლო აღნიშნული ნარჩენების მართვა განახორციელოს შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან (სამინისტროს 2025 წლის 4 ივნისის №4039/01 წერილი) შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმის, საქართველოს კანონის - ნარჩენების მართვის კოდექსით და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრული ვალდებულებებისა და მოთხოვნების შესაბამისად;

2. ვინაიდან, ინსპექტირებით გამოვლინდა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული ექსპლუატაციის პირობის ცვლილება (იხ. დანართი №1-ის 1.3 ქვეპუნქტი) ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გადაწყვეტილების გარეშე, **შპს „სანიტარი“ ვალდებულია,** ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** მიმართოს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით დადგენილი შესაბამისი პროცედურების გავლის მიზნით. **ამასთან, შესაბამისი აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებამდე, შპს "სანიტარი" ვალდებულია:**

2.1. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის** ვადაში ჩაატაროს, ხოლო შემდგომ **ყოველკვარტალურად** უზრუნველყოს, საყოფაცხოვრებო ნარჩენების დამუშავების უბნებიდან წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების ინსტრუმენტული მონიტორინგი, შემდეგ კომპონენტებზე: შეწონილი ნაწილაკები, ჟბმ, ჟქმ, საერთო აზოტი, ამონიუმის აზოტი, საერთო ფოსფორი, სულფიდები გადათვლილი გოგირდის იონზე, ნავთობპროდუქტები, ცხიმები და ზეთები, ზედაპირულად აქტიური ნივთიერებები, ფენოლები, ციანიდები, დარიშხანი, კადმიუმი, სპილენძი, ქრომი, ტყვია, ვერცხლისწყალი, ნიკელი თუთია.

2.2. გარემოსდაცვითი მონიტორინგის ანგარიშის ფორმატის და პერიოდულობის დადგენის მიზნით, ადმინისტრაციული მიწერილობის **ჩაბარებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** მიმართოს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს. შემდგომში უზრუნველყოს გარემოსდაცვითი

მონიტორინგის ანგარიშის, განსაზღვრული ფორმატით და პერიოდულობით, სააგენტოში წარმოდგენა (ეკოლოგიური ექსპერტიზის **დასკვნის მე-2 პირობა,** გზშ ანგარიში, გვ 76).